ქ. თბილისი 1 თებერვალი, 2022 წელი

თანამშრომლობის მემორანდუმი შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა.Georgian-American School-სა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ შორის N 04/11

ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ (შემდეგში - ბრიტანული უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის - მაია გურგენიძის სახით და **შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა.Georgian-American School**, წარმოდგენილი ირმა მესხიშვილის სახით (შემდეგში - სკოლა) მეორე მხრივ, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა ბრიტანული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში - პროგრამა) ჩარიცხული პირების (შემდეგში - სტუდენტი) პრაქტიკით უზრუნველყოფის, უნივერსიტეტის პროგრამის შემდგომი შეფასებისა და განვითარების, ასევე, საერთო ინტერესების გათვალისწინებით, სხვა ერთობლივი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მემორანდუმის ფარგლებში ბრიტანული უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:

ა) კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკის განხორციელებას წინასწარ შემუშავებული და სკოლასთან შეთანხმებული სილაბუსის მიხედვით, რომელშიც ასახულია: პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნები, პრაქტიკის ხანგრძლივობა (განხორციელების კვირების რაოდენობის და კონკრეტულ კვირაში განსახორციელებელი აქტივობების მითითებით), სტუდენტის დატვირთვა და დატვირთვის დეტალური აღწერილობა; პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, პროგრამის სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;

ბ) პრაქტიკის სილაბუსის შემდგომი შესაძლო ცვლილების განხილვის და შეფასების პროცესში ჩართოს სკოლის ადმინისტრაცია;

გ) პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოს ბრიტანული უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი ადამიანური რესურსის ჩართვის გზით;

დ) პრაქტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზება გაუწიოს სამუშაო შეხვედრებს, დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას და პრაქტიკის ხელმძღვანელს პრაქტიკის გავლის პროცედურებსა და პრაქტიკის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

ე) სკოლის თანამშრომლები უზრუნველყოს ტრენინგით ანდა პერიოდული კონსულტაციებით;

ვ) უზრუნველყოს პრაქტიკის განხორციელების შეფასება, პრაქტიკის განხორციელებაში მონაწილე პირების ჩართულობით და შეიმუშაოს რეკომენდაციები პრაქტიკის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით;

ზ) სტუდენტის მუშაობის გეგმის დაზუსტებისას გაითვალისწინოს სკოლის საჭიროებები და სკოლაში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი.

2. მემორანდუმის ფარგლებში, სკოლა ვალდებულია:

ა) ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ სტუდენტს შეურჩიოს ხელმძღვანელი;

ბ) უზრუნველყოს სკოლაში პრაქტიკის განხორციელება ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად, ამასთან, შეატყობინოს ბრიტანულ უნივერსიტეტს პრაქტიკის მიმდინარეობისას შექმნილი გაუთალისწინებელი ვითარების შესახებ, რომელმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას პრაქტიკის შეუფერხებელ განხორციელებას;

გ) შეძლებისამებრ ჩაერთოს ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, რაც ემსახურება პრაქტიკის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებას, აუცილებელი საკითხების დაზუსტებას და პრაქტიკის კომპონენტის შემდგომ გაუმჯობესებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სათანადო დახმარება გაუწიოს სტუდენტს პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშრებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ასევე, სილაბუსით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაში, მიაწოდოს შესაბამისი უკუკავშირი სამომავალო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;

ე) წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების და ფორმის შესაბამისად შეაფასოს სტუდენტი და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია პრაქტიკის განხორციელებაში ბრიტანული უნივერსიტეტის მხრიდან ჩართულ პერსონალს - შესაბამისი საგნის სწავლების მეთოდიკის განმახორციელებელ პირს.

3. პრაქტიკა თითოეული სტუდენტისათვის განისაზღვრება ორი ერთსემესტრიანი კომპონენტით. სკოლის რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში სკოლაში პრაქტიკა გაიაროს არაუმეტეს 4 სტუდენტმა.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

1. მემორანდუმი ძალაში შედის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაწყების შემთხვევაში და მოქმედებს შესაბამისი გარემოების დადგომიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2. მემორანდუმის შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ მიიღებენ ყველა ზომას სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, რათა არ შეწყდეს პრაქტიკის განხორციელება.

3. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების გზით.

4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად და გადაეცემათ მემორანდუმზე ხელმომწერ პირებს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	**შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა.Georgian-American School**
საიდენტიფიკაციო კოდი: 405365698	საიდენტიფიკაციო კოდი: 404965169
მის.: თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №92	მის.: თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. N6
	ტელ.: 2221616
მაია გურგენიძე, რექტორი	დირექტორი